პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ოთხშაბათი 19 იანვარი 1941 წ. № 16 (6021) ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР



„ლენინი და სტალინი ოქტომბრის დღეებში".

მხატვარი ი. ვეფხვაძე.

## ბოლშევიკები ტექნიკური რუტინისა და უძრაობის შეურიგებელი მოწინააღმდეგენი არიან

სოციალისტური ინდუსტრიის ტექნიკური მონაპოვარნი საბჭოთა ხალხის განსაკუთრებული სიამაყის საგანი გახდნენ. ჩვენმა მრეწველობამ სტალინური ხუთწლედების მანძილზე ასობით და ათასობით ახალი ნაკეთობა აითვისა. არ არის ახლა ისეთი მანქანა, რომლის გაკეთებაც არ შეიძლებოდეს საბჭოთა ქარხნებში. ჩვენი პარტიის ლენინურ-სტალინურმა პოლიტიკამ...

...ტექნიკის მიღწევები, რომლებიც უგულებელჰყოფენ უცხოეთის გამოცდილებას. ასეთი ბაქიები ბუდამ ტრაბახობენ: „ჩვენც გვესმის საქმეო", და იმავე დროს ერთ ადგილს სტკეპნიან. ლაპარაკია, რა თქმა უნდა, არა ქედის ბრმად მოხრაზე უცხოეთის ტექნიკის წინაშე, არამედ ყოველივე იმ საუკეთესოს უნარიან გამოყენებაზე, რაც მან შექმნა, ტექნიკის მუდმივ გა...

...ტექნიკური შტაბი იყოს? არა, არ შეუძლია თუ მდგომარეობა გადაჭრით არ გამოსწორდა.

ამასწინათ გაზეთ „მაშინოსტროენიეში" სტატიით „შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის!" გამოვიდა საერთო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარი ამხ. პარშინი. მან იმით დაიწყო, რომ „ჩვენი ქარხნების (ესე-იგი საერთო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ქარხნების. —...

...ჯერ გამოიგონებენ ხოლმე იმას, რაც საზღვარგარეთ დიდიხანია გამოგონილია და რის გადმოღებაც შეიძლება კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკიდან. ჩვენში არ გადაშენებულან ყოყოჩები, რომლებსაც არ აინტერესებთ მსოფლიო...

...„პრავდაში" დაიბეჭდა, ცარიელი ადგილი აღმოჩნდა. ასეთსავე სავალალო მდგომარეობაშია სახალხო კომისარიატის ტექნიკური განყოფილებაც. განა შეუძლია სახალხო კომისარიატს ასით პირობებში მრეწველობის ნამდვილი...

...თა სპეციალისტისა, წარმოების მეთაურებისა, მრეწველობის პარტიული მუშაკებისა, ყველასი, ვინც ახლოს დგას ტექნიკასთან, ვინც განუწყვეტლივ უნდა სწევდეს მას წინ.

**„პრავდის" მოწინავე, 18/I.**

## სუბსტრატოსფეროს ღია გონდოლაში
### 11 ათასი მეტრის სიმაღლეზე

**შესანიშნავი სამეცნიერო გაფრენა საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის აღსანიშნავად**

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარ სამმართველოს ჰაეროლოგიური ობსერვატორიის ჰაერნაოსნობის ჯგუფის მეთაურმა, ცნობილმა სტრატონავტმა ფომინმა და უფროსმა მფრინავმა გოლიშევმა შესანიშნავი გაფრენა მოახდინეს 2.500 კუბ. მეტრზე მეტი მოცულობის სუბსტრატოსტატ „სსრ-ვრ-79"-ით. ისინი ღია გონდოლით, რომელიც კომშის წნელისაგან...

— ბერსონმა და ზიურინგმა — შესძლო მიეღწია სტრატოსფეროსათვის ღია გონდოლით და ცოცხლად დაბრუნებულიყო. 1901 წელს ისინი 10.800 მეტრ სიმაღლეზე ავიდნენ. 1927 წელს ამერიკელი გრეი პირველი აფრენისას იძულებული გახდა პარაშუტით დაშვებულიყო, ხოლო განმეორებით გაფრენის დროს დაიღუპა. 1928 წელს 11 ათას მეტრ სიმაღლეზე ავიდა ესპანელი აერონავტი მოლასი...

...პეში მიიღო: „სტარტის დაწყებიდან საათნახევრის შემდეგ დაახლოებით 11 ათას მეტრ სიმაღლეს მივაღწიეთ. აქ ჰაერის ტემპერატურა 60 გრადუსს აღწევს ნოლს ქვემოთ. სტრატოსფეროში თავს კარგად ვგრძნობდით. „ჭერზე" 15 წუთს დავყავით. 16 საათსა და 10 წუთზე ივანოვოს ოლქის კამეშკოვსკის რაიონის ვოლოდარსკის სახელობის ფაბრიკის...

...ღია გონდოლით ფრენა 2 საათსა და 55 წუთს გრძელდებოდა აეროლოგიურ ობსერვატორიაში, სადაც რეგულარულად მოდის სიგნალები სუბსტრატოსტატ „სსსრ-ვრ-79"-ზე მიმაგრებული რადიოზონდიდან, საკდესის თანამშრომელს განუცხადეს: უნდა ვიფიქროთ, რომ აერონავტები 11 ათას მეტრზე მეტ სიმაღლეზე იმყოფებოდნენ. (საკდესი).

21 იანვარს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრში მოწვეულია პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივის სამგლოვიარო სხდომა, სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მიძღვნილი

### ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XVII წლისთავისადმი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის და საქ. სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები შედიან თავისი მანდატებით, ხოლო დანარჩენნი — საშვები ბარათებით, რომლებსაც ანაწილებენ ქ. თბილისის პარტრაიკომები.

## ლენინის დღეების წინ
### თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა კოლექტივი გაცხოველებით ემზადება ვ. ი. ლენინის დღეების აღსანიშნავად. 14 იანვარს პარტბიუროს მითითებით მოეწყო აგიტატორთა სემინარი.

აგიტატორები გულმოდგინედ შეუდგნენ საამქროებში სააგიტაციო მუშაობის გაშლას. ისინი ესაუბრებიან...

საამქროს აგიტატორები ყუფარაძე, რამიშვილი და ენუქიძე.

15 იანვარს პარტბიუროს და გაზეთ „ფეიქარის" ინიციატივით ჩატარდა საამქრო კედლის გაზეთების და მოწინავე მუშკორთა კრება, რომელზეც განიხილეს კედლის გაზეთებში ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქების საკითხი.

## 136,5 მილიონი ეგზემპლარი ლენინის ნაწარმოებები

ლენინის ნაწარმოებნი განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული საბჭოთა კავშირში. სრულიად-საკავშირო წიგნის პალატამ მოამზადა წინასწარი ცნობები 1917-1940 წლების პერიოდში ვლადიმერ ილიას-ძის ნაშრომთა გამოცემის შესახებ. რუსულ ენაზე ლენინის ნაშრომები გამოვიდა 115,2 მილიონი ეგზემპლარის...

...ლიურზე, იაპონურზე, შვედურსა და სხვა ენებზე.

ლენინის ნაწარმოებნი ყოველ წელს გამოდის განმეორებით. მარტო შარშან ლენინის ნაწარმოებნი 8,8 მილიონი ეგზემპლარი ტირაჟით გამოვიდა 33 ენაზე.

განსაკუთრებით ფართოდ არის გავრცელებული ლენინის ნაშრომები: „იმპერიალიზმი როგორც კა...

...ყაზახურზე, ყირგიზულზე, ტაჯიკურზე, თურქმენულზე, უზბეკურზე, ლიტვურზე, ლატვიურზე, ესტონურზე, კარელურზე, მოლდავურზე, თათრულზე, ბაშკირულსა და მრავალ სხვა ენაზე.

გარდა ამისა, ისინი დაიბეჭდა მრავალ უცხოურ ენაზე: ინგლისურზე, ფინურზე, ბულგარულზე, ფრანგულზე, გერმანულზე, იტა...

...ქით გამოიცა ვლადიმერ ილიას-ძის ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". „რა ვაკეთოთ?" გამოვიდა 1.942 ათასი ეგზემპლარი ტირაჟით, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან"—1.815 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით.

17 იანვარი (საკდესი).

## პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

გაითვალისწინა რა არალითონის სამთო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის მცირერიცხოვანობა, მრეწველობის ამ დარგის საწარმოთა დაქსაქსულობა, რის შედეგადაც საწევრო გადასახადის დაახლოებით ნახევარი პროფკავშირული აპარატის შენახვაზე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯებზე იხარჯება, პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ლიკვიდირებული იქნას არალითონის სამთო მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირი.

არალითონის სამთო მრეწველობის საწარმოთა, დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა პროფკავშირული ორგანიზაციები სხვა პროფკავშირებს გადაეცემა. მათი მიღება და გადაცემა უნდა დამთავრდეს 1941 წლის 15 თებერვლისათვის. (საკდესი).

## პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს განმარტება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ... მოადგინა ცნობა, რომ მუშაობის წინანდელ ადგილზე ადმინის...

...ში საპროფესიო - სასწავლებლო სამუშაოზე კონკურსით გადასვლისას;

ბ) შრომითი დასახიჩრებით, პროფესიული ან საერთო დაავადებით გამოწვეული დროებითი ინვალიდობის შემდეგ, ან 2 თვეზე მეტ ხანს ავადმყოფობისა და ამ მიზეზით სამუშაოდან განთავისუფლების შემდეგ სამუშაოზე შესვლისას. თუ მუშაკი მუშაობის წინანდელ ადგილზე დაბრუნდა, ან სხვა საწარმოსა ან დაწესებულებაში შევიდა ან წარ...

...განუწყვეტელ სტაჟში არ ჩაითვლება);

ე) ქმრის ან ცოლის სხვა ადგილას სამუშაოდ გადაყვანასთან დაკავშირებით გადასვლისას, თუ ამასთან მუშაობის შეწყვეტის დრო ერთ თვეს არ აღემატება (გადასვლის დროის ჩაუთვლელად).

ეს განმარტება ვრცელდება იმ დახმარებასა და პენსიაზე, რაც ამ დადგენილების გამოცემის შემდეგ დაინიშნება.

17 იანვარი (საკდესი).

## სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა საქმე სამუშაოს თვითნებურად მიტოვების შესახებ.

კალინინის რკინიგზის სამშენებლო კანტორისადმი გაცემული ბრძანებით ოსტატი არტიუშკინი თანამდებობიდან ჩამოაქვეითეს და უფროს მუშად გადაიყვანეს. ამ სამუშაოზე არტიუშკინმა კატეგორიული უარი განაცხადა. იგი სა...

...ნაცხადა არა ამ სამუშაოზე, რომელსაც იგი ასრულებდა, არამედ ახლად შეთავაზებულ სამუშაოზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, ამხ. გოლიაკოვის პროტესტის თანახმად, არტიუშკინის საქმე პლენუმზე იქნა განხილული. პროტესტში ნათქვამია: თუ არტიუშკინი ფიქრობდა, რომ იგი უმართებულოდ ჩამოაქვეითეს, მას შეეძლო უფ...

# უკანასკნელი ცნობები

## ინგლის-გერმანიის ომი
### გერმანიის ცნობები

**ბერლინი**, 18 იანვარი (საკდესი). გერმანიის სარდლობა იუწყება: წყალქვეშა ნავის ცნობით, ჩაძირულია ინგლისის სავაჭრო ხომალდი 29000 ტონა წყალწყვისა. 17 იანვარს გერმანიის თვითმფრინავებმა დაზვერვა მოახდინეს ინგლისში და ამასთანავე იერიში მიიტანეს ლონდონის ერთერთ ვაგზალზე. 17 იანვარს გერმანიის ყუმბარმშენთა შენაერთი წარმატებით დაესხა თავს ინგლისის დასავლეთ სანაპიროს. გარდა ამისა, გერმანიის ყუმბარმშენებმა ყუმბარა დააყარეს ლონდონის სამხედრო ობიექტებს. ჩამოგდებულია ინგლისის 3 თვითმფრინავი. გერმანიის ორი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

### ინგლისის ცნობები

**ლონდონი**, 18 იანვარი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 17 იანვარს დღისით გერმანიის ავიაცია უმნიშვნელო აქტივობას იჩენდა. მტრის ცალკეულმა თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩამოჰყარეს კენტის საგრაფოს აღმოსავლეთ სანაპიროზე. ბომბარდირებას მატერიალური ზარალი და მსხვერპლი არ გამოუწვევია.

17 იანვარს ღამით გერმანიის ავიაციამ გააფთრებით დაუშინა ყუმბარა სამხრეთ უელსს. სამხრეთ უელსის ერთერთ ქალაქში მრავალი ხანძარი გაჩნდა და დიდძალი საცხოვრებელი სახლი და სავაჭრო საწარმო დაინგრა. მსხვერპლი დიდი არ არის.

დევონის საგრაფოში ბომბარდირების შედეგად მოკლულია რამდენიმე კაცი და დაზიანებულია მრავალი შენობა. ინგლისის სხვა რაიონებში გერმანიის ავიაცია უმნიშვნელო აქტივობას იჩენდა და მცირე ზარალი გამოიწვია.

## საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

**ათენი**, 18 იანვარი (საკდესი). საბერძნეთის არმიის უმაღლესი სარდლობა იუწყება: გუშინ მარჯვე ოპერაციების შედეგად ჩვენ დავიკავეთ მტრის გამაგრებული პოზიციები. წამოვიყვანეთ 1000 ტყვე. მათ შორის რამდენიმე ოფიცერი.

## ომი ხმელთაშუა ზღვის აუზში
**(11-დან 17 იანვრამდე წარმოებული საომარი მოქმედების მიმოხილვა)**

ალბანეთში წარსული კვირის განმავლობაში ფრონტის ხაზი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე ბერძნებმა რამდენჯერმე სცადეს კამნისა და მოკრის მთების უღელტეხილებით ელბასანისაკენ შეჭრილიყვნენ, მაგრამ იტალიელთა ჯარის ნაწილებმა ისინი მოიგერიეს. უცხოელი კორესპონ...

...ლივ შეუდგნენ იტალიელთა სიმაგრეებ... იერიშის სამზადისს. თუმცა, უცხოელ მეთვალყურეთა განცხადების მიხედვით ტობრუკში იტალიელთა გარნიზონის რიცხვი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბარდიაში, მაგრამ ინგლისელებს მაინც არ შეუძლიათ თავიანთი შეტევის სწრაფი წარმატების იმედი ჰქონდეთ. ტობრუკის...

...ზადებიან ინტრმეტევაზე გადასასვლელად პოგრადეცის წინააღმდეგ. ფრონტის ცენტრალურ სექტორში არსებითი რამ არაფერი მომხდარა ალბანეთის სამხრეთ ნაწილში საომარ მოქმედებას უფრო გადამწყვეტი ხასიათი ჰქონდა. კლისურის აღების შემდეგ ბერძენთა ჯარმა მთელი ლონისძიება იმისაკენ მიმართა, რომ შემდგომი შეტევა განევითარებინა ბერატისა და ტეპელენეს წინააღმდეგ...

გარდა ამისა, ინგლისის ჯარს მნიშვნელოვანი დრო დასჭირდება მძიმე არტილერიის მისატანად და გასამართავად აგრეთვე მისი დიდძალი საომარი მასალის მისაზიდად. ინგლისელთა კომუნიკაციები ამჟამად მეტად დიდ მანძილზეა გაშლილი და ყველა საჭირო სამხედრო მასალის მიზიდვა დიდძალ ავტომანქანებს მოითხოვს.

O

იტალიის ავიაცია, რომელიც იტალიაში გერმანიის საავიაციო კორპუსის ჩასვლასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა, შესამჩნევად გააცხოველა თავისი საომარი მოქმედება ხმელთაშუა ზღვაში. წარსული კვირის განმავლობაში გერმანიისა და იტალიის ავიაციის მთავარი იერიში მიმართული იყო ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინააღმდეგ. ეს ფლოტი, როგორც ცნობილია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ინგლისელების მიერ ბარდიის ალყის შემორტყმის დროს და ამჟამად სერიოზულ საფრთხეს უქმნის იტალიისა და ლიბიის დამაკავშირებელ კომუნიკაციებს. გერმანია-იტალიის ავიაციამ უკვე მიაღწია ერთგვარ წარმატებას პირველი ერთად წარმოებული ოპერაციების დროს, ჩაძირა ინგლისის კრეისერი „საუთჰემპტონი" და დააზიანა რამდენიმე სხვა სამხედრო ხომალდი ავიანოსანი „ილასტრიესი", საესკადრო ნაღმოსანი „გალანტი"...

# ახალი გამარჯვებებით შევხვდეთ XVIII პარტკონფერენციას

## ნაკისრ ვალდებულებებს ბოლშევიკურად ანაღდებენ

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი ენერგიულად იბრძვის, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციას. სამჭედლო, სახარატო, [illegible]

„რ-3"-ის 19 კბილანა დაამზადა. ამავე საამქროს სტახანოველმა გვენცაძემ 14 იანვარს ძაფსაგრეხი მანქანის 12 ყუთის ნაცვლად 3 სადგარი და 25 ყუთი დაამზადა, რითაც ერთიორად გადააჭარბა ნაკისრ ვალდებულებას. სტახანოველ[…] [illegible]

[…] მა — ვოიტომა, ისაევმა, ტოკაშვილმა, როდიონოვმა და სხვებმა.

ამჟამად საამქროებში სტახანოვური მუშაობაა გაჩაღებული. ჩამომსხმელი საამქროს მეყალიბე ტუაევი ყოველდღიურად 2 ნორმას ასრულებს. 13 იანვარს მან 8-ის ნაცვლად რედუქტორ[…]

დღითი-დღე მზარდი შრომის მძლავრი აღმავლობა იმის თავდებია, რომ ქარხანა ბოლშევიკურად გაანაღდებს ნაკისრ ვალდებულებას — XVIII პარტკონფერენციის გახსნის დღისათვის 15 დღით ადრე შეასრულოს იანვრისა და თებერვლის საწარმოო დავალება.

## ახალგაზრდა პატრიოტების მოწოდება

საქ. კ. პ. (ბ) სიღნაღის რაიკომის ინიციატივით ამ დღეებში ჩატარდა მუშურ-გლეხურ წითელი არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან ახლად დაბრუნებულ, გრძელვადიან შვებულებაში მყოფი წითელარმიელთა და უმცროს მეთაურთა რაიონული შეკრება.

[illegible]

ბაში სრულიად-საკავშირო XVIII პარტიული კონფერენციის მოწვევასთან და საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავთან დაკავშირებით. მოწოდებას ხელს აწერენ ამხ. მ. ტუხაშვილი, კ. ტაბატაძე, ვ. ჯანიაშვილი, ვ. ქუქუნაშვილი, ნ. შაიშმელაშვილი, მ. ობოლაშვილი, ლ. სიხაშვილი და ნ. მეძმარი[…]

[illegible] სახელი. ნ. შაიშმელაშვილი და დ. ჯანიაშვილი ვაჟკაცურად იბრძოდნენ თეთრფინელთა წინააღმდეგ, აქტიური მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხთა განთავისუფლებაში.

შეკრების მონაწილეებმა საქართველოს სს რესპუბლიკაში გრძელვადიან შვებულებაში მყოფ წითელარმიელებსა და უმცროს მეთაურებს მიმართეს მოწოდებით, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრე[…]

[…] არმიის ცხოვრებაზე, წვევამდელებს ჯარში გაწვევამდე ჩააბარებინონ ნორმები 4 თავდაცვით ნიშანზე და სხვ.

გარდა ამისა, შეკრების მონაწილეებმა პირობა დასდეს აქტიურად ჩაებან საკოლმეურნეო საქმიანობაში და იბრძოლონ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, შრომის მოწესრიგებისათვის და ცოდნა, რომელიც წითელი არმიის რიგებში მიიღეს, მთლიანად მოახმარონ სოციალისტურ სამშობლოს.

## ახალ-ახალ წარმატებას აღწევენ

თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის საამქროებსა და ბრიგადებში ფართოდ გაჩაღდა XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. ფაბრიკის მოწინავე ადამიანები იბრძვიან, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებით შეხვდნენ კონფერენციას.

ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა კონფერენციის [illegible]

[…] წინებულ 344 კომბინიზონის ნაცვლად 600 კომბინიზონი გამოუშვას ყოველდღიურად და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ამხ. აიკანუშ სიდამონიძის აგრეგატის მუშები.

ამხ. მალიგინა ამით არ დაკმაყოფილდა და ყოველდღიურად უშვებს 700 მაღალხარისხოვან კომბინიზონს.

სამკერვალო საამქროს საუკეთე[…] [illegible]

[…] თებერვლის საწარმოო დავალებას კონფერენციის გახსნის დღისათვის შეასრულებენ.

ნაკისრი ვალდებულების გადაჭარბებით შესასრულებლად ტრიკოტაჟის ფაბრიკის საამქროებსა და ბრიგადებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რის შედეგადაც ფაბრიკამ იანვრის 15 დღის დავალება 141 პროც. გაანაღდა; გეგმით გათვალისწინებული 20 ათასი წყვილი წინდის ნაცვლად [illegible]

[…] ბრიგადის წევრმა, სტახანოველმა მქსოველმა ამხ. ანა სენჩენკომ ვალად იდო ყოველდღიური დავალების 111 პროც. განაღდება, რაც მან დიდი გადაჭარბებით შეასრულა, იანვრის ნახევარი თვის დავალება 125 პროც. შეასრულა.

დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას ამავე ბრიგადის სტახანოველები — ამხ. მიხეილ პავლენკო, ლიონად კანიოვა, ანა ლუგოვსკაია და სხვ. (საქდესი).

## ამუშავებენ საჩუქრებს XVIII პარტკონფერენციისათვის

[illegible]

## ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ

**ჭიათურა**, (საქდესი). ჭიათურის მარგანეცის მაღაროების ცალკეული უბნები ერთიორად ასრულებენ XVIII პარტკონფერენციის სახელობის სოცშეჯიბრებაში ჩაბ[…] [illegible]

[…] ლება 109,7 პროცენტით შესრულა.

დიდი გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს ცალკეული სტახანოველები. ჭიათურის სა[…] [illegible]

თბილისი. სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის სატვირთო ვაგონების საამქრო. საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის აღსანიშნავად ამხ. ა. კალაშნიკოვის სტახანოველთა ბრიგადამ გეგმის გადამეტებით კაპიტალურად შეაკეთა ერთი ოროღერძიანი ვაგონი. სურათზე: სტახანოველები (მარჯვნიდან მარცხნივ): ა. კალაშნიკოვი, ა. მოსკვინი და დუდნიკი.

ფოტო ი. ბუდეშტსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ინგლისისათვის იარაღის მიცემის კანონპროექტის განხილვა ა. შ. შტატების წარმომადგენელთა პალატაში

**ნიუ-იორკი**, 17 იანვარი (საქდესი). წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში სამხედრო მინისტრმა სტიმსონმა მოუწოდა კომისიის წევრებს მოიწონონ კანონპროექტი ინგლისისათვის იჯარით ან სესხად ამერიკის იარაღის მიცემის შესახებ. — ამერიკის შეერთებული შტატები, — სთქვა სტიმსონმა, — უფრო კრი[…] [illegible]

[…] მომზადებული შეხვდეს იმ კრიზისს, რომელიც მას მომავალ გაზაფხულზე და ზაფხულში მოელის. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის დაცვას.

უპასუხა რა წარმომადგენელთა პალატის წევრის ფიშის შეკითხვაზე, სტიმსონმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, „ამერიკის შეერთებულ შტატებს საჰაერო თავდასხმის სერიოზული საფრთხე შეექმნება, თუ ინგლისის ფლოტი მოსპობილი იქნება ან მტერს დანებდება".

შემდეგ ფიშმა შეეკითხა — არსებობს თუ არა ისეთი თვითმფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ ყუმბარების ტვირთით ატლანტის ოკეანეზე გადმოფრენა და ევროპაში დაბრუნება. სტიმსონმა უპასუხა, რომ არსებული თვითმფრინავები, ალბათ, ამ ამოცანას ვერ შეასრულებენ, მაგრამ „სწრაფად ხდება მათი გაუმჯო[…] [illegible]

[…] მათ". ფიშმა შეეკითხა: „თუ ინგლისი ჩვენი თავდაცვის პირველ ხაზს წარმოადგენს, მხარს უჭერთ თუ არა იმას, რომ ომში ჩავებათ?" სტიმსონმა უპასუხა, რომ იგი მომხრეა „ინგლისისათვის დახმარების აღმოჩენისა, რათა მას შეეძლოს თავისი ფლოტის შენარჩუნება". ფიშის სხვა შეკითხვების პასუხად სტიმსონმა, კერძოდ, განაცხადა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი საშუალებას მისცემს პრეზიდენტს გადასცეს მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოს ამერიკის სამხედრო - საზღვაო

ფლოტის [illegible]

სახელმწიფო მდივნის ჰელის, ფინანსთა მინისტრ მორგენტაუს და სამხედრო მინისტრ სტიმსონის გამოსვლამ ინგლისისათვის ამერიკული იარაღის იჯარით ან სესხად მიცემის კანონპროექტის სასარგებლოდ დროებით უკან დასწია იზოლაციონისტთა და ამ კანონპროექტის სხვა მოწინააღმდეგეთა კამპანია. ამ გამოსვლებს [illegible]

[…] ლისისათვის დახმარების აღმოჩენისა ისე, რომ ამერიკა ომში არ ჩაებას. ჰუვერი მოითხოვს წარმოდგენილი კანონპროექტის სერიოზულად შეცვლას, რათა შეიკვეცოს პრეზიდენტის რწმუნებულობა. ბევრი კარგად ინფორმირებული პირი აცხადებს, რომ როგორც ჰუვერი ფიქრობს, წარმოდგენილი კანონპროექტი საშუალებას აძლევს პრეზიდენტს ომში ჩააბას ამერიკის შეერთებული შტატები ამერიკის კონგრესის მიერ ომის გამოუცხადებლად.

## სამხედრო-საზღვაო მშენებლობა ა. შ. შტატებში

**ნიუ-იორკი**, 17 იანვარი (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, წარმომადგენელთა პალატის საზღვაო საქმეთა კომისიამ ერთსულოვნად მოიწონა საზღვაო სამინისტროს თხოვნა 400 ახალი გემის ასაგებად, გემსაშენთა და სამხედრო საწარმოთა გასაფართოებლად 909 მილიონი დოლარის გაღების შესახებ.

როგორც უკვე იუწყებოდნენ, 15 იანვარს კომისიამ მოიწონა 300 მილიონი დოლარის გაღება სამხედრო-საზღვაო ფლოტის საჰაერო თავდაცვის გასაუმჯობესებლად.

## საომარი მოქმედება ტაისა და საფრანგეთის ინდო-ჩინეთს შორის

**ნიუ-იორკი**, 17 იანვარი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ტაის ჯარმა საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ჯარის 200 კაცისაგან შემდგარი რაზმი აიძულა 24 კილომეტრით დაეხია საზღვრის აღმოსავლეთით.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ბანგკოკში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ტაის ჯარმა წინ წაიწია საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში.

## იაპონიის პრესა საფრანგეთის ინდო-ჩინეთის პოზიციის შესახებ

**ტოკიო**, 17 იანვარი (საქდესი). გაზეთ „იომიურის" ცნობით, ხანოიში დიდ მნიშვნელობას აძლევენ საფრანგეთის ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორის დეკუს გამგზავრებას საიგონში. გზაში დეკუ ანამს ეწვია, სადაც იგი მეფემ მიიღო. ფიქრობენ, რომ დეკუ ერთ თვეს დარჩება საიგონში. დაჟინებით აჭრელებენ ხმას, რომ საიგონში მისი ყოფნა დაკავშირებულია ინდო-ჩინეთის [illegible]

ამავე დროს „ასახი" იუწყება, რომ, ინგლისის აქტივობის შედეგად, საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხელისუფალთა პოზიცია იაპონიის მიმართ უფროდაუფრო არაკეთილსასურველი ხდება. გაზეთის სიტყვით, ინგლისი აპირებს შეისყიდოს საფრანგეთის ინდო-ჩინეთში ბრინჯი, რათა სინგაპურში დააგროვოს დიდი მარაგი. საფრანგეთის ინდო-ჩინეთის ხანოის ბანკის პრეზიდენტმა პოლ განაიმ, რომელიც ამ დღეებში უნდა გამგზავრებულიყო ტოკიოს ეკონომიურ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად, უეცრად გადასდო გამგზავრება. „ძნელი მისახვედრი არ არის, — სწერს გაზეთი, — რომ ყოველივე ეს შედეგია საიდუმლო მოლაპარაკებისა საფრანგეთისა და ინგლისის თანამშრომლობის შესახებ".

## „ჯვარედინი ისრების" პარტიის წინააღმდეგ გამოსვლა უნგრეთში

**ბუდაპეშტი**, 17 იანვარი (საქდესი). უნგრეთის მთავრობის ლიბერალური პრესა სასტიკად აკრიტიკებს „ჯვარედინი ისრების" პარტიისა და მის ლიდერ სალაშის მოღვაწეობას, რომელმაც ამას წინათ განაცხადა: საჭიროა „ჯვარედინი ისრების" პარტია მიმდინარე წელს სათავეში ჩაუდგეს ხელისუფლებას.

დღე არ გავა ისე, რომ მთავრობის ორგანომ „მადიარორსაგმა" არ გააკრიტიკოს „ჯვარედინი ისრების" პარტიის პროგრამა. გაზეთი აცხადებს, რომ „ერს ყველაზე დიდი საფრთხე შიგნიდან მოელის" და მოითხოვს „ნაციონალური ცხოვრების გაწმენდას მავნე ელემენტებისაგან". ერთერთ თავის სტატიაში გაზეთი სხვათა [illegible]

## ეკონომიური სიძნელენი დანიასა, შვეციასა, ნორვეგიასა და ფინეთში

სკანდინავიის ქვეყნებში, დანიასა და ფინეთში სერიოზული სიძნელეებია შექმნილი სათბობითა და სურსათით მოსახლეობის მომარაგების მხრივ.

კოპენჰაგენში, ძლიერი ყინვების მიუხედავად, ქვანახშირის გაცემა საგრძნობლად შემცირებულია. შვეციაში სახელმწიფო სათბობმა კომისიამ სახლთმფლობელებს აცნობა, რომ, სათბობის მხრივ არსებული მძიმე მდგომარეობის გამო, მათ ახლადაგებული სახლებისათვის შეშის ან ქვანახშირის მიღების იმედი არ უნდა ჰქონიონ.

ფინეთში თითქმის მთლიანად შეწყდა ბაზარზე ჭვავის შემოტანა, ხორბლის მარაგიც მცირეა.

ძალიან შემცირდა ხორცის წვრილ-წვრილად გაყიდვა. საკვების ნაკლებობამ შინაური ფრინველის მასობრივი დაკვლა გამოიწვია. მაგალითად, უკანასკნელ ხანს ფინეთში არსებული მთელი ქათმების სამი მეოთხედი დაიკლა.

17 იანვარი (საქდესი).

## უნგრეთ-რუმინეთის პოლემიკა

**ბუდაპეშტი**, 17 იანვარი (საქდესი). ბუდაპეშტში შესდგა „უნგრელი ფრონტელების კავშირის" კონფერენცია, რომელმაც განიხილა რუმინეთთან ურთიერთობის საკითხი. რეზოლუციაში კონფერენცია პროტესტს აცხადებს რუმინეთის „მტრულ და ცილისმწამებლურ" განცხადებათა წინააღმდეგ. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ რუმინეთს არავითარი უფლება არა აქვს ტრანსილვანიაზე და რომ რუმინეთის ტერიტორიული პრეტენზიები ისტორიულ ფაქტებს ეწინააღმდეგება.

გაზეთი „მადიარორსაგი" სწერს, რომ რუმინეთის მტრულ მოქმედებას უნგრეთი ასეთივე მოქმედებით უპასუხებს.

მომარაგების მინისტრმა ლაკიმ დიორეს პარტიის — „უნგრელთა ცხოვრების" კონფერენციაზე აღნიშნა, რომ, თუ უნგრეთი ტრანსილვანიის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებისაგან რუმინეთის გადახვევის ნიშნებს შეამჩნევს, იგი „სხვა ენით ალაპარაკდება, რათა მისი სიტყვა საზღვრის გაღმა გაიგონონ".

## საომარი მოქმედება ჩინეთში

**ცენტრალურ ჩინეთში**. ჩინელთა ცნობებით, ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, ტუნჩენის რაიონში უკანასკნელად მომხდარ ბრძოლაში მონაწილეობდა 15 ათასამდე იაპონელი ჯარისკაცი. ბრძოლის შედეგად იაპონიის ჯარი იძულებული გახდა პირვანდელი პოზიციებისაკენ დაეხია; მას დიდი ზარალი მოუვიდა.

ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინელებმა დაიკავეს 3 პუნქტი ქალაქ შაშის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 10 კილომეტრის დაშორებით.

სამხრეთ და ჩრდილოეთ ჩინეთში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

17 იანვარი (საქდესი).

# ფართოდ განვავითაროთ საზოგადოებრივი მეფრინველეობა

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ სახკომსაბჭოს დადგენილებამ—„ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლი[…] [illegible]

[…] იქნას მოშენებული ქათმის, იხვის, ბატისა და ინდოურის მაღალპროდუქტიული ამრეწველი ჯიშები, მიღწეულ იქნას დიდი შემოსავლიანობა. თბილისის რაიონის [illegible]

[…] წყარო, აგრეთვე ფართოდ უნდა გავშალოთ მუშაობა რაიონულ საინკუბატორო სადგურებში წიწილების მასობრივი გამოყვანისათვის, რომლებითაც კოლმეურნეებს მოვამარაგებთ".

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. საქართველოში [illegible]

[…] ჭოთა კონსტრუქციის ინკუბატორი „იშ-16", რომელიც 44.520 კვერცხს იტევს. ამ ინკუბატორს ყოველდღიურად გამოჰყავს 1.000 წიწილა. ინკუბატორების მაღალი ეფექტიანობის შედეგია, რომ 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილედ მარტო რსფსრ-დან დამ[…] [illegible]

[illegible]

# პარტიული ცხოვრება

## პარტიული ორგანიზაცია სკოლაში

(ლენინხუთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ლენინხუთის საშუალო სკოლის პარტორგანიზაციაში ერთიანდებიან: პედაგოგიური სასწავლებლის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, მოზრდილთა საშუალო სკოლის და გვიმაღლაურის არასრული საშუალო სკოლის კომუნისტები — სულ 19 ამხანაგი.

პარტიული ორგანიზაცია სათანადო მუშაობას აწარმოებს მოსწავლეთა აკადემიური წარჩინების ზრდისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, სისტემატურად ისმენს ცალკეული სკოლების დირექტორთა მოხსენებას. ამასწინათ პარტიულ კრებაზე მოისმინეს მოხსენება ლენინხუთის მოზრდილთა საშუალო სკოლაში სასწავლო და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ და დირექტორის მოხსენება პირველი მეოთხედის შედეგებზე. საკითხის შესწავლა დავალებული ჰქონდა პარტკომიტეტს ამხ. გ. ებრაელიძეს. კრებაზე გამოირკვა, რომ ლენინხუთის მოზრდილთა საშუალო სკოლამ პირველი მეოთხედი გარეკვეებით დაამთავრა, მოსწავლეთა აბსოლუტური წარმატება 67 პროცენტს უდრიდა. ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა უდისციპლინობის ფაქტებს. სკოლაში არ იყო შინგანაწესი, მოსწავლეებს, დღისაც არა აქვთ პირადი საქმეები. მე-10 კლასშიც აბსოლუტური წარმატება 60 პროცენტს შეადგენს. არის შემთხვევები, როცა მასწავლებლები გაკვეთილზე რამდენიმე წუთის დაგვიანებით შედიან.

კრებამ იმსჯელა აღნიშნულ ნაკლოვანებათა შესახებ და მიიღო სათანადო ღონისძიებანი. კრების მიერ დასახულ ღონისძიებათა გატარების შედეგად ახლა მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა.

გარდა სკოლის დირექტორების მოხსენებებისა, პარტიული ორგანიზაცია ისმენს მოხსენებებს ცალკეული კლასების შესახებ. ასე, მაგალითად, პარტიულ კრებაზე დაანენეს საკითხი ლენინხუთის საშუალო სკოლის მე-10-ა და მე-10-ბ კლასებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. გამომეღავნდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით დისციპლინის უხეშად დარღვევის ფაქტები; დასახეს სათანადო ღონისძიებანი, მაგრამ ჯერ ამას პრაქტიკული შედეგი არ მოყოლია, მე-10-ბ კლასში დისციპლინის დარღვევას კვლავ აქვს ადგილი.

პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხება პარტიის წევრობის 8 კანდიდატი. თვითეულ მათგანს მიკუთმული აქვს პარტიული დავალება და სწარმოუძღვნია მისი შემოწმება. მაგალითად, აგიტატორი თ. ჩხაძე გვიმაღლაურის საკოლტეურნო ბრიგადა-ში ... [illegible]

## სკპ(ბ) ჭიათურის რაიკომის პლენუმი

**ჭიათურა** („კომუნისტის“ კორ.). შესდგა სკპ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის IV პლენუმი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე — რაიკომის ანგარიში 1940 წლის 26 ოქტომბრიდან 1941 წლის 13 იანვრამდე, პარტიაში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ — მოხსენებით გამოვიდა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ი. ჯუმბერიძე.

საანგარიშო პერიოდში სკპ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღებულ იქნა 31 ამხანაგი, სკპ. კ. პ. (ბ) წევრებად 21. რაიონში შეიქმნა 6 პირველადი პარტიული ორგანიზაცია. სკპ. კ. პ. (ბ) რიგების ზრდისა და პარტიაში იხლად მიღებულთა შორის მუშაობის საქმეში ჯერ კიდევ აფდელი აქვს ნაკლოვანებებს. რაისაბჭოს ალმასკომთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი — მ. იობაშვილი) შეუმოწმებლად მიიღო პარტიაში ვ. მირზოტაძე, სვერის ლენინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტიაში ხელოვნებით მიიღო ვინმე ი. ცუცქირიძე, რომელმაც დაფარა თავისი წარსული. რაიკომის ბიუროს უარი უთხრა მათ პარტიაში მიღებაზე.

მეორე საკითხად პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. დ. ბრეგვაძის მოხსენება 1941 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო საშუშაოებისათვის მზადების ღონისძიებათა შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თესვისათვის მზადება რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, იარაღ-მანქანების რემონტი დაფაზდა ჭიათურაში. ზოგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორი ცისქვეშ ჩრის მატოვებელი; ფირქვალის, კაცხის, ქვაცხისა და სხვა კოლმეურნეობებში მუშა-პირუტყვი სათანადოდ არ არის მოვლილი და სხვ.

მოხსენებათა ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 19 ამხანაგმა. პლენუმის მუშაობა შეაჯამა სკპ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. მიქიაშვილმა.

განხილული საკითხების ირგვლივ მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

ლ. ლოლაძე.

## პარტიული აქტივი ეუწყება სამხედრო საქმეს

(თელავი, „კომუნისტის“ კორ.). სკპ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის ბიუროს დადგენილებით რაიონში შექმნილია პარტიული აქტივის სამხედრო სწავლების ჯგუფი 45 კაცის შემადგენლობით.

6 იანვარს ჩატარდა ჯგუფის პირველი მეცადინეობა. სამხედრო საქმის სწავლებენ პარტკომიკომის მდივანი, რაკომის განყოფილებათა გამგეები და ინსტრუქტორები, რაიალმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები, მსგავლ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პარტორგანიზატორები და პარტბიუროს მდივნები.

პარტგაკვეთილ ბიგელის სამხედრო საქმის შესწავლის პროგრამას, რომლითაც გითვალისწინებულია სპეციალურად 135 საათი. მეცადინეობა ჩატარდება კვირაში ერთხელ 4 საათით ორასამუშაო დრის, ხოლო თვეში ერთხელ კვირა დღით ჯგუფი ადგილ მინდვრად ტაქტიკურ მეცადინეობაზე.

ჯგუფი უზრუნველყოფილია კვალიფიციურ ლექტორთა კადრებით.

კ. აფხაზავა.

○

საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაკომის ბიუროს დადგენილებით რაიონის პარტიული აქტივისათვის მოეწყო სამხედრო სწავლება, რომელშიაც ჩაბმული არიან პარტკომიკომის პასუხისმგებელი მუშაკები, რაიალმასკომის განყოფილებათა გამგეები და ინსტრუქტორები, რაიალმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები, მსგავლ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პარტორგანიზატორები და პარტბიუროს მდივნები. ბიუროს ... [illegible]

# ი. სტალინი — „ორი შეჯახება“

(ბამოცემის 55 წლისთავის გამო)

ოცდაზუთმეტი წლის წინათ, 1906 წლის 7(20) იანვარს გამოვიდა ამხანაგ სტალინის ბროშურა „ორი შეჯახება“, რომელიც დაიბეჭდა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში. ის რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა.

თავის ბროშურაში „ორი შეჯახება“ — ამხანაგი სტალინი გვაძლევს 9 იანვრის ამბებისა და დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების გენიალურ ანალიზს, არკვევს თუ რაში მდგომარეობდა 1905 წლის რევოლუციის ისტორიული ბნიშვნელობა და ამასთან ერთად პროლეტარიატის წინაშე სახავს რევოლუციური მოქმედების დიდ პროგრამას.

9(22) იანვრის ამბები მთელ რუსეთში რევოლუციური ქრიზისის დასაწყისი იყო. როგორც ცნობილია, ამ დღეს შეიარაღებენ პეტერბურგის მეშები. საეკლესიო ბანრაღიებთან და მეფის პორტრეტებით მშვიდობიანი მსვლელობით წავიდნენ ისინი ზამთრის სასახლისაკენ, რათა მეფისათვის ეთხოვათ ჰური და თავისუფლება. ეს ის პეტროდი იყო, როცა, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავს თავის „ორ შეჯახებაში“, პროლეტარიატის რევოლუციური შეგნება ჯერ კიდევ ჩამორჩენილი იყო. პროვოკატორმა გაპოსმა იკისრა შეამავლობა მეშებსა და მეფეს შორის. მან შეადგინა პროვოკატორული გეგმა. „გაპონმა იკისრა მეფის თხრაწერისათვის დახმარება გაწევა: გამოეწვია მუშების დახვრეტა და სისხლში ჩაეხრჩო მუშათა მძრაობა“. („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“, გვ. 68)

ბოლშევიკები, ლენინი და სტალინი მუშებს განუმარტავდნენ, რომ მშვიდობიანი გზით არ შეიძლება მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, რომ მეფესთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია. ბოლშევიკები მართალი გამოდგნენ. 9 იანვარს საშინელი ამბავი მოხდა პეტერბურგში. ამ დღეს მეფის ბრძანებით ჯარებმა დახოცეს ათასზე მეტი მუშა, დასჭრეს 2 ათასზე მეტი. პეტერბურგის ქუჩები მუშათა სისხლით მოირწყო.

9 იანვარს მუშებმა დიდი გაკვეთილი მიიღეს. „რუსეთის პროლეტარიატი არ დაიგიწყებს ამ გაკვეთილს, — სწერდა ლენინი თავის სტატიაში „რევოლუციის დასაწყისი რუსეთში“,—მუშათა კლასს ყველაზე მოუმზადებელმა, ყველაზე ჩამორჩენილმა ფენებმა, რომლებსაც ბულუბრყალეულ სუკიროდათ მეფისა და რომლებსაც გულწრფელად სურდათ „თვით მეფისათვის“ გადაეცათ გაწამებული ხალხის თხოვნა, ყველამ ერთ-ერთ გაკვეთილი...“

ხალხს უკვე აღარ სჯეროდა მეფისა.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ 9 იანვრის, ამბებმა თვალი აუხილა პროლეტარიატს. მუშათა კლასმა აქედან დასკვნები გააკეთა. და აი დეკემბერში ის მეფესთან მიდის არა თხოვნით, მეფისა და წმინდანების სურათებით, არამედ შეიარაღებული, რათა ერთთანად გადაიბეგოს მეფის რუსეთი. „თერმიტი თვის რევოლუციონერმა ქარტელმა — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი „ორ შეჯახებაში“ — საკმაოდ აუხილა თვალი რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს და ლოზუნგები: ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! — ყოველდღიურ ლოზუნგებათ, მასის ლოზუნგებად გადაქცია“.




ამხანაგი სტალინი „ორ შეჯახებაში“ გვაძლევს იმის ნათელ სურათს, თუ რით განსხვავდება 9 იანვრის ამბები დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებისაგან და რატომ დაიხია უკან პეტერბურგის პროლეტარიატმა 9 იანვარს.

ამხანაგი სტალინი ჩამოსთვლის ოთხ ნიშანს, რომლებითაც 9 იანვრის ამბები განსხვავდება დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებისაგან. პირველი — 9 იანვრის ამბების დროს პროლეტარიატს არ ჰქონდა საკმაო რევოლუციური შეგნება, ის თავის იმედებს მეფეზე ამყარებდა. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებისათვის პროლეტარიატმა დიდი გამოცდილება მიიღო. ის დარწმუნდა, რომ მეფეთა კლასის განთავისუფლება თვით მუშათა კლასის საქმეა. მეორე — 9 იანვრის ამბებიან დროს მუშათა კლასი შეუიარაღებელი იყო. მარტო შეგნება რიდინა. საკმარისი. განა შეგნებელ თავსაც ისე არ ხვრეტს მტრის ტყვია, როგორც შეუგნებელს? დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს კი მთელი ხალხი შეიარაღებული იყო. ამისათვის მუშათა ორგანიზაციებს, ჭრნდათ სპეციალური ქარხნები, სადაც ისინი ამზადებდნენ სამარ იარაღს. მესამე — 9 იანვრის ამბებს გვიან გამოეხმაურნენ რუსეთის დანარჩენი ქალაქები და სოფლები. და მეოთხე — ეს ის, რომ არ იყო ერთ მთლიან ორგანიზაციად შემეიღროებული პარტია, რომელიც გაუძღვებოდა მუშათა კლასსა და ხალხობას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მენშევიკები წინ გადიოდნენ რევოლუციას, არ მისცეს მუშათა კლასს საშუალება ოფიციალურ რევოლუციის ბელადი. მენშევიკებს რევოლუციის ხელმძღვანელად ვაძონ და მეფის ოხრანკა ვამოჰყავდათ.

ბოლშევიკები, ლენინი და სტალინი ამზადებდნენ მუშათა კლასს ხალხობასთან ერთად შეიარაღებული აჯანყებისათვის. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მთელ რუსეთს მოედო. მაგრამ, როგორც ცნობილია, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება დამარცხებით დამთავრდა. მენშევიკებმა გამეცმლურ პოლიტიკას ეწიოდნენ, მათ რევოლუცია დამთავრებულად მიაჩნდათ. ჩლუხანოვი დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ ამბობდა, იარაღისათვის ხელი არ უნდა მოგვეკიდნო. ამხანაგი სტალინი თავის „ორ შეჯახებაში“ იცავს ლენინურ შეხედულებას რევოლუციის უკანდახევის დროებითს ხასიათზე. „ამხანაგი სტალინი ბროშურაში „ორი შეჯახება“,—ამბობს ამხანაგი ლ. ბ. ბერია, — აკრიტიკებდა რა მენშევიკების პოროკეფეცულ - გამეცმლურ პოზიციას, ამბობდა, რომ პროლეტარიატი არ არის დამარცხებული და რომ შეიარაღებული აჯანყება ერთადერთი გზაა გამარჯვებისაკენ“.

ამხანაგმა სტალინმა თავის „ორ შეჯახებაში“ პროლეტარიატ დაუსახა ბრძოლისა და გამარჯვების დიადი გეგმა. ამხანაგი სტალინი, წინააღმდეგ მენშევიკებისა, ამ ბროშურაში ასაბუთებდა, რომ რევოლუციაში მუშათა კლასის ძირითად მოკავშირეს გლეხობა წარმოადგენს, და ამიტომ გლეხობას მოუწოდებდა გაეჩაენინა მზადება ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისათვის. ამხანაგი სტალინი სწერდა: „...სოფლის ფაქტიური (და არა მარტო იდეური) ხელმძღვანელი მხოლოდ ქალაქის პროლეტარიატია“.

სტალინი აყენებდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობის აუცილებლობას. „ჩვენი ვალია პარტიას დავუხმაროთ შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში, აქტიურად ჩავეიროთ ამ წმინდა საქმეში და დაუღალავათ ვიმუშაოთ მისთვის.“ იმისთვის, რომ პროლეტარიატს გაემარჯვენა რევოლუციაში, ამხანაგი სტალინი მოითხოვდა „მჭიდრო პარტიას“, როგორც მუშათა კლასის ბელადსა და ხელმძღვანელს. „**მჭიდრო პარტია, პარტიისაგან მოწყობილი აჯანყება და თავდასხმის პოლიტიკა,** — აი რა გვინდა ჩვენ, აი რას ითხოვს ღღეს აჯანყების გამარჯვება. და ეს მოთხოვნა მით უფრო მწვავე და აუცილებელია, რაც უფრო ღრმავდება და ძლიერდება სოფელში სიმშილობა და ქალაქში სამრეწველო კრიზისები“.

ამხანაგი სტალინი, ასაბუთებდა რა ლენინურ შეხედულებას რევოლუციის უკანდახევის დროებითი ხასიათის შესახებ, მოუწოდებდა მუშათა კლასსა და გლეხობას მომზადებულიყვნენ მომავალი შეჯახებისათვის. იგი გენიალურად წინასწარმეტყველებდა რევოლუციის გამარჯვების აუცილებლობას:

„რუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, მან მხოლოდ უკან დაიხია და დღეს ის სახელოვანი ბრძოლისათვის ემზადება. რუსეთის პროლეტარიატი არ დაუშვებს სისხლით შეღებილ დროშას, ის არავის დაანებებს აჯანყების ხელმძღვანელობას, ის ერთადერთი ღირსეული ბელადი იქნება რუსეთის რევოლუციისა“.

ბოლშევიკები, ლენინი და სტალინი მართალი იყვნენ, როცა ასაბუთებდნენ რევოლუციის აღმავლობის აუცილებლობას, რევოლუციის უკანდახევის დროებითს ხასიათს. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ რუსეთის პროლეტარიატს არ დაუხრია სისხლით შეღებილი დროშა, რომ მან არავის დაანება შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობა და რომ ის ერთადერთი ღირსეული ბელადია რუსეთის სოციალისტური რევოლუციისა.

ჯ. აბაშიძე

# ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში

ვინც ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში ოთხი თვის წინათ ყოფილა, ახლა ვედარ იცნობს მას ზოგიერთ დარბაზს. ექსპონატები შეფცვლილა, დოკუმენტები ახალ წესზეა განლაგებული.

მესამე დარბაზში შესვლისას კაცს თვალში ეცემა ბრუა-სქემა რსდმპ ადგილობრივი კომიტეტებისა და ჯგუფებისა, რომლებიც პარტიის II ყრილობის წინ ლენინურ „ისკრას“ მიემხრნენ. რამდენი ძალღონე მოანდომა ლენინმა იმას, რომ ისინი „ისკრის“ გარშემო გაეერთიანებინა! აი შუბის ქვეშ არის მოსკოვის, პეტერბურგის, ტულისა და სხვა კომიტეტების განცხადებანი იმის შესახებ, რომ ისინი უერთდებიან „ისკრას“.

კედლზე გამგრებულ მარმარილოს ჩარჩოში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის განთქმული წიგნი „რა კეკეთოთ?“, გამოცემული შტუტგარტში 1902 წელს. ქვემოთ, მარმარილოზე, ამოკვეთილია ამ წიგნის ძირითადი ფორმულა, რომელიც ახლა ბევრმა ზეპირად იცის:

„რეკოლუციური თეორიის გარეშე არ შეიძლება იყოს რევოლუციური მოძრაობა...“

ლენინის წიგნმა ბაში ყველა საკრებორატო საკითხს უპასუხა. თითქოს ახალმა სიმ დაპბერკო! ცხადი შეიქნა, თუ რის გაკეთება იყო საჭირო ისისათვის, რომ შეგვქმნა პროლეტარიატის ბრძოლისუნარიანი პარტია. ცხადი შეიქნა, თუ რა ამოცანები იდგა ამ პარტიის წინაშე.

მოსკოვის კომიტეტმა წიგნის — „რა ვაკეთოთ?“ ავტორს მისწერა წერილი, რომელშიც მას მადლობას უცხადებდა. ვლადიმერ ილიას-

# „სახალხო კონვენტის" სამანდატო კომისიის მოხსენება

**ლონდონი,** 17 იანვარი (საქ-ტესი). „სახალხო კონვენტის" სამანდატო კომისიის მიერ გამოქვეყნებული მოხსენებიდან ჩანს, რომ „სახალხო კონვენტის" ყრილობას ესწრებოდა 2.234 დელეგატი. ისინი წარმოადგენდნენ 1.200 ათას კაცს, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციაში შედიან. 471 დელეგატი გამოგზავნილი იყო 239 სამრეწველო საწარმოსაგან, რომლებშიც 400 ათასი მუშა ითვლება, 87 დელეგატი — მანქანათმშენებელთა და მეტალურგთა 138 კავშირისაგან, რომლებსაც 67 ათასი წევრი ჰყავთ, 31 დელეგატი — მაღაროელთა 26 კავშირისაგან, რომლებსაც 270 ათასი წევრი ჰყავთ, 94 დელეგატი — მშენებელი მუშების 65 კავშირისაგან, რომლებსაც 27 ათასი წევრი ჰყავთ, 153 დელეგატი — ტრანსპორტელთა და რკინიგზელთა 86 კავშირისაგან, რომლებსაც 45 ათასი წევრი ჰყავთ, 22 დელეგატი — მევაჭრეთა 11 კავშირისაგან, რომლებსაც 12 ათასი წევრი ჰყავთ, 95 დელეგატი — ადმინისტრაციის და ვაჭრობის მოსამსახურეთა 47 კავშირისაგან, რომლებსაც 52 ათასი წევრი ჰყავთ, 26 დელეგატი — შავი მუშების 20 კავშირისაგან, რომლებსაც 4,5 ათასი წევრი ჰყავთ, 55 დელეგატი — ელექტრიკოსთა 55 კავშირისაგან, რომლებსაც 6,5 ათასი წევრი ჰყავთ, 75 დელეგატი — 29 სხვადასხვა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან, მათ შორის მკერავთა, მბეჭდავთა და მეხანძრეთა კავშირებისაგან, რომლებსაც 24 ათასი წევრი ჰყავთ, 27 დელეგატი — 92 ათასი წევრის გამაერთიანებელი პროფკავშირების 20 საბჭოსაგან, 99 დელეგატი — 98 კოოპერაციული ორგანიზაციისაგან, რომლებსაც 50 ათასი წევრი ჰყავთ, 254 დელეგატი — 199 პოლიტიკური ორგანიზაციისაგან, რომლებსაც 38 ათასი წევრი ჰყავთ, 24 დელეგატი — 12 სხვადასხვა ორგანიზაციისაგან, რომლებიც კოლონიების 10 ათას მუშას აერთიანებენ, 164 დელეგატი — ახალგაზრდობის 91 ორგანიზაციისაგან, რომლებსაც 20 ათასი წევრი ჰყავთ, და სხვ.

## რეპრესიები „სახალხო კონვენტში" მონაწილეობისათვის

**ლონდონი,** 17 იანვარი (საქტესი). ლონდონის ჩრდილოეთ-დასავლეთი რაიონის ერთერთი საწარმოს ორი საქარხნო მამასახლისი, რომლებიც ამ საწარმოს მუშების წარმომადგენლები იყვნენ „სახალხო კონვენტში", დაითხოვეს, როგორც კი კონვენტის სხდომების შემდეგ სამუშაოზე დაბრუნდნენ. მათმა დათხოვნამ მუშების აღშფოთება გამოიწვია. მოწვეულ იქნა რამდენიმე მიტინგი, რომლებზედაც მოითხოვდნენ დათხოვნილთა დაბრუნებას სამუშაოზე. ტრედ-უნიონთა წარმომადგენელთ ამის შესახებ მოლაპარაკება აქვთ საწარმოთა ადმინისტრაციასთან.

# ინგლის-გერმანიის ომი

## გერმანიის ცნობები

**ბერლინი,** 17 იანვარი (საქტესი). გერმანიის სარდლობა იუწყება: გერმანიის ყუმბარმშენებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები ინგლისის სამხედრო გემებს ლა ვალეტას (მალტა) ნავსადგურში. ბომბარდირებული იქნა აგრეთვე არსენალი. ინგლისის კრეისერი „საუტჰემპტონი", რომელიც 10 იანვარს გერმანიისა და იტალიის ყუმბარმშენებმა დააზიანეს, ჩაიძირა.

ამ ღამეს გერმანიის ყუმბარმშენებმა იერიში მიიტანეს დასავლეთ ინგლისის ნავსადგურზე და სამხრეთ ინგლისის ობიექტებზე. 16 იანვარს ღამით მტრის ავიაციამ რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო გერმანიის ტერიტორიაზე. დაზიანებულია რამდენიმე შენობა. 15 და 16 იანვარს მტერმა 5 თვითმფრინავი დაკარგა. 15 იანვრიდან გერმანიის 3 თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

## ინგლისის ცნობები

**ლონდონი,** 17 იანვარი (საქტესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 16 იანვარს ღამით გერმანიის ავიაციის მოქმედება მიმართული იყო უმთავრესად დასავლეთ ინგლისის ერთერთი რაიონის წინააღმდეგ. ჩამოგდებულია დიდძალი ცეცხლგამჩენი და ფუგასური ყუმბარა. ლონდონის რაიონში გერმანიის თვითმფრინავები მცირეოდენ აქტივობას იჩენდნენ, ლონდონში ორჯერ გამოცხადდა საჰაერო განგაში. გერმანიის თვითმფრინავებს, რომლებიც ტემზის შესართავის მხრიდან გამოჩნდნენ, ძლიერი სროლა აუტეხა საზენიტო არტილერიამ და ისინი იძულებული გახდნენ შეეცვალათ კურსი.

გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა აგრეთვე 2 პუნქტს კენტის საგრაფოს აღმოსავლეთ ნაწილში. მატერიალური ზარალი არა ყოფილა.

# ხმელთაშუა ზღვისა და აფრიკის ფრონტზე

## იტალიის სარდლობის ცნობა

**რომი,** 17 იანვარი (საქტესი). სტეფანის სააგენტო გადმოგვცემს სარდლობის ცნობას: საბერძნეთის ფრონტზე ადგილობრივი ხასიათის მოქმედების დროს იტალიის ჯარმა საგრძნობი ზარალი მიაყენა მტერს.

კირენაიკაში აქტიურად მოქმედებს არტილერია, აქტივობას იჩენდნენ აგრეთვე მზვერავი რაზმები.

გერმანიის ყუმბარმშენებმა, რომლებსაც თან ახლდნენ გერმანიისა და იტალიის ავიაგამანადგურებლები, ყუმბარები დაუშინეს საზღვაო ბაზას ლა ვალეტაში (მალტა). ინგლისის ავიამზიდი „ილასტრიეს", რომელიც წინანდელი თავდასხმის დროს დაზიანდა და ლა ვალეტაში შეაფარა თავი, კვლავ დაზიანებულ იქნა. გერმანიის ერთი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა.

## ალბანეთის ფრონტზე

**ათენი,** 17 იანვარი (საქტესი). საბერძნეთის სარდლობის კომუნიკე გუშინ საღამოთი იუწყებოდა, რომ ფრონტზე ადგილობრივი მნიშვნელობის ოპერაციები მიმდინარეობს.

უშიშროების სამინისტრო იუწყება, რომ გუშინდელი დღის განმავლობაში იტალიის ავიაცია თავს არ დასხმია საბერძნეთის ცენტრალურ რაიონებს.

**ნიუ-იორკი,** 17 იანვარი (საქტესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, ბერძნებმა ერთი მილით წაიწიეს წინ გიერმის ჩრდილოეთით, 14 მილზე ვალონის სამხრეთ-აღმოსავლეთით. კლისურის სექტორში ბერძნებმა დაიკავეს სოფელი ბუზი, 14 მილზე კლისურის ჩრდილოეთ-დასავლეთით. ტყვედ წაიყვანეს 315 იტალიელი. ბერძნები წინ მიიწევენ აგრეთვე ელბასანისაკენ და თავს უყრიან ჯარს სოფელ კოკორინაში, ნეზანსა და ვალში, 12 მილზე ელბასანის სამხრეთ-დასავლეთით.

## საომარი ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის აუზში

**ლონდონი,** 17 იანვარი (საქტესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 15 იანვარს ღამით ინგლისის ავიაციამ ტალღებად მიიტანა იერიში იტალიის საჰაერო ბაზაზე კატანიაში (სიცილია). გაჩენილი ხანძრის ალი 50 მილის მანძილზე მოსჩანდა. აეროდრომზე რამდენიმე ადგილას მოხდა აფეთქება. ინგლისის ყველა თვითმფრინავი ბაზაში დაბრუნდა.

მალტის ნავსადგურზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდნენ გერმანიის თვითმფრინავები იტალიის თვითმფრინავთა თანხლებით. ჩამოგდებულია მტრის 10 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციას ზარალი არ მოსვლია. საგრძნობლად დაზიანებულია კერძო მფლობელობანი.

## ინგლისისა და იტალიის ავიაციის ზარალი

**ლონდონი,** 17 იანვარი (საქტესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ ვლაზგოში ავიაციის მინისტრმა სინკლერმა განაცხადა, რომ ალბანეთის ფრონტზე ინგლისის ავიაციამ საჰაერო ბრძოლაში მოსპო იტალიის 56 თვითმფრინავი, გარდა იმ თვითმფრინავებისა, რომლებიც განადგურებულ იქნა მიწაზე საჰაერო თავდასხმის დროს. ინგლისის ავიაციამ 19 თვითმფრინავი დაკარგა. მალტაზე საჰაერო თავდასხმის დროს ჩამოგდებული იქნა იტალიის 42 თვითმფრინავი. ინგლისის ავიაციამ 25 თვითმფრინავი დაკარგა. ლიბიაში ინგლისელებმა დაკარგეს 17 თვითმფრინავი და საჰაერო ბრძოლაში მოსპეს 90 მანქანა. გარდა ამისა, მიწაზე მოსპობილი იქნა კიდევ 115 თვითმფრინავი.

## მოკლე ცნობები

○ საავტომობილო მრეწველობის მუშათა პროფკავშირმა, კომპანია „იტონ მანუფაქტურინგის" სეგინოუს საავტომობილო ქარხნების გაფიცულ მუშებთან სოლიდარობის ნიშნად, გაფიცვა გამოაცხადა ამ კომპანიის კიდევ 4 ქარხანაში—დეტროიტის, ბეტლ გრიკის, მარჩელისა და კლივლენდის ქარხნებში. გაფიცვაში სულ მონაწილეობს 3.500-ზე მეტი მუშა, რომლებიც მოითხოვენ, რათა სამუშაოზე აღდგენილ იქნას მუშათა წინანდელ გაფიცვაში მონაწილეობისათვის დათხოვნილთა ჯგუფი.

○ სკოლების გასათბობად ქვანახშირის ნაკლებობის გამო პარიზში 15 იანვრიდან გაზაფხულამდე დახურული იქნება ყველა სკოლის უმცროსი კლასები.

○ ნიუ-იორკის ერთერთ საქველმოქმედო აუქციონში 1.500 დოლარად გაიყიდა ქრისტეფორე კოლუმბის ხელით დაწერილი წერილი, რომელშიც ლაპარაკია ამერიკის აღმოჩენაზე. წერილი დაწერილია 1494 წელს.

17 იანვარი (საქტესი).

სასროლო სწავლება ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ბანაკში.

ფოტო გ. ლინგისა

## მეთხილამურეები ემზადებიან შეჯიბრებისათვის

ბაკურიანში გაიხსნა სამთო-სათხილამურო სეზონი. მთების თოვლიან კალთებზე ასობით ახალგაზრდა ეუფლება სათხილამურო სპორტს. ამჟამად აქ მიმდინარეობს ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის მეთხილამურეთა სასწავლო შეკრება, შეჯიბრებებისათვის ემზადებიან თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და სასპორტო საზოგადოებათა ფიზკულტურელები.

დაიწყო საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულ სამთო-სათხილამურო სპორტის ინსტრუქტორთა სასწავლო შეკრება. შეკრებას ხელმძღვანელობენ ალპინიზმის ოსტატი ა. გვალია, სამთო-სათხილამურო სპორტის ოსტატები ვ. სამსონაძე, ვ. კოსნაჩევსკი და სხვა გამოცდილი მწვრთნელები.

სასწავლო შეკრებათა და წინასწარი წვრთნის დამთავრებისას, იანვრის ბოლო რიცხვებში გაიმართება მეთხილამურეთა შეჯიბრება თბილისის პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის სასპორტო საზოგადოებათა და ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის მეთხილამურეები.

**ლ. ხ.**

## რესპუბლიკური მეცნიერულ-პედაგოგიური კონფერენცია

საქ. სსრ განსახკომი და განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი მიმდინარე წლის იანვრის 23, 24, 25 და 26 რიცხვებში ატარებენ მეორე რესპუბლიკურ მეცნიერულ-პედაგოგიურ კონფერენციას. კონფერენციის მიზანია გამოავლინოს და განაზოგადოს სკოლებისა და მოწინავე მასწავლებლობის საუკეთესო გამოცდილება სწავლა-აღზრდის აქტუალურ საკითხებში.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნება მოხსენებები პრაქტიკოს მასწავლებელთა და მეცნიერ-მუშაკთა გამოცდილებიდან. მოხსენებები ზოგად პედაგოგიურ და დიდაქტიკურ საკითხებზე მოსმენილი იქნება პლენარულ სხდომაზე, ხოლო ცალკე სასწავლო დისციპლინების სწავლების საკითხები—სასწავლო საგნების მიხედვით—სექციებში.

კონფერენციაზე სკოლის მუშაკებთან ერთად მოწვეულნი არიან საქ. სსრ განსახკომის სისტემაში შემავალი უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის პროფესორ-მასწავლებლები.

პლენარული სხდომის შემდეგ იმუშავებენ ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სექციები.

კონფერენციის პირველი სხდომა გაიხსნება 23 იანვარს, დილის 10 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3).

## თბილისის ნავთის ტექნიკუმმა მუშაობა დაიწყო

თბილისში ახლად მოწყობილ ნავთის ტექნიკუმში მეცადინეობა დაიწყო. მიმდინარე სასწავლო წელს მეცადინეობა იწარმოებს პირველ კურსზე; იმეცადინებენ ორ ჯგუფში—ქართულ და რუსულ ენაზე. მოსწავლეთა უმეტესობას ნავთის მრეწველობის მუშაკთა და კოლმეურნეთა შვილები შეადგენენ, რომელთაც საშუალო სკოლის 7-10 კლასი დაამთავრეს.

თბილისის ნავთის ტექნიკუმი ნავთის მრეწველობის საწარმოთათვის ამზადებს ტექნიკურ პერსონალს: ბურღვის ოსტატებს, ნავთის ამოღების ოსტატებსა და ოპერატორებს.

აგვისტოში მოხდება მოსწავლეთა ახალი მიღება პირველ და მეორე კურსზე.

სწავლის პირველ წელს ნავთის ტექნიკუმში მეცადინეობა იწარმოებს ზოგადი განათლების საგნებში. მეორე კურსიდან შემოღებული იქნება სპეციალური დისციპლინები. საწარმოო პრაქტიკას გაივლიან ტრესტ „საქნავთის" სარეწებში და საძიებელ უბნებში.

თბილისის ნავთის ტექნიკუმი მეოთხეა საბჭოთა კავშირში. (საქტესი).

## რადიოგადაცემა დღეს

9.00—გაზეთ „პრავდის" მოწინავე, ტრანსლაცია მოსკოვიდან; 9.15—გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 9.25—საჯაზო მუსიკის კონცერტი; 10.00—წერილები გაზეთებიდან; 10.30—კავკასიის ხალხთა სიმღერების კონცერტი; 11.50—გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის — „ბავშვთა თვითმოქმედება მიკროფონთან". 12.30 — „ლიტერატურული გადაცემა: ელ. პოლუმორდვინოვის მოთხრობა — „პარტიზანის ქორწილი"; 12.48—ალ. შენგელია: „პოეტი მიკროფონთან" — ლექსები ქართულ ენაზე; 14.15—საერთაშორისო მიმოხილვა, ტრანსლაცია მოსკოვიდან; 18.00—გადაცემა თემაზე: „ვიბრძოლოთ აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის"; 18.15—გადაცემა პიონერთა და უფროს მოსწავლეთათვის — ნ. ვ. გოგოლის „მაისის ღამე", ტრანსლაცია მოსკოვიდან; 19.00—კონცერტი; 20.15—ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე, ა. ანტონოვსკაია—„დიდი მოურავი", ნაწყვეტი რომანის მეორე წიგნიდან; 23.15—საესტრადო კონცერტი—ვალაცის, ანდღულაძის, ბოროვიკოვის და სხვ. მონაწილეობით. 00.30 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან.

## „გიორგი სააკაძე" ეკრანზე

თბილისის კინოსტუდიამ გადასაღებად მიიღო ა. ანტონოვსკაიას და ბ. ჩორნის სცენარი ისტორიული მხატვრული ხმოვანი ფილმი—„გიორგი სააკაძე".

გაცხოველებით მიმდინარეობს წინასწარი სამზადისი სურათზე მუშაობის დასაწყებად. ფილმის დადგმა მინდობილი აქვს ორდენოსან მიხეილ ჭიაურელს, რეჟისორად სიმონ დოლიძე მუშაობს.

ფილმის გადაღება გაზაფხულიდან დაიწყება. (საქტესი).

# „17 წელი ულენინოდ, ლენინური გზით დიდი სტალინის ხელმძღვანელობით"

### (დიდი გამოფენა საჯარო ბიბლიოთეკაში)

კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა დიდი გამოფენა, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი. გამოფენა გაფორმებულია თემაზე—„17 წელი ულენინოდ, ლენინური გზით დიდი სტალინის ხელმძღვანელობით".

გამოფენაზე წარმოდგენილია დიდძალი ბიბლიოგრაფიული მასალა, ფოტოილუსტრაციები და ამონაწერები მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან. გამოფენაზე წარმოდგენილი მასალები დაყოფილია 5 განყოფილებად. პირველი განყოფილება გაფორმებულია თემაზე—„ლენინი — მარქსისა და ენგელსის დიადი მოძღვრების გენიალური განმგრძობი". მეორე განყოფილება გაფორმებულია თემაზე—„სტალინი—ლენინის დიადი მოძღვრების განმგრძობი". მესამე განყოფილებაში წარმოდგენილია მემუარული ლიტერატურა ლენინზე (კრუპსკაიას, გორკის, კალინინის და სხვ. მოგონებანი). გამოფენის მეოთხე განყოფილება შეიცავს მხატვრულ ლიტერატურას ლენინის შესახებ, ხოლო მეხუთე განყოფილებაში წარმოდგენილია ლენინის თხზულებები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

გამოფენა ერთ კვირას გასტანს. შესვლა ყველასათვის თავისუფალია.

## ლენინის საღამო მწერალთა კლუბში

**21 იანვარს, საღამოს 8 საათზე,** მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართება **ლენინის** ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც შესავალი სიტყვით გახსნის ამხ. ი. აბაშიძე.

ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. შ. რადიანი. სიტყვებით თემაზე — ლენინი და ხელოვნება გამოვლენ დ. შენგელაია, ლ. ქიაჩელი, ბ. ჟღენტი, ე. ასტვაცატუროვი.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: გ. ტაბიძე, ა. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. ვაკელი, ა. აბაშელი, ი. მოსაშვილი, ს. ეული, კ. კალაძე და გ. ქუჩიშვილი.

### მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის

## კინოფილმი „მზიური საქართველო"

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთავისათვის თბილისის კინოსტუდია სპეციალურად უშვებს სრულმეტრაჟიან დოკუმენტალურ ხმოვან კინოფილმს „მზიურ საქართველოს". სურათში ასახულია ორდენოსანი საქართველოს გრანდიოზული მიღწევები 20 წლის მანძილზე.

ფილმზე მუშაობენ რეჟისორები: ორდენოსანი ნ. შენგელაია, შ. ჩაგუნავა და ვ. მიტროფანოვი. ფილმში შემავალ ცალკეულ თემებს იღებენ ოპერატორები: აჯიბეგიშვილი, ნაგორნი, არზუმანოვი, სემიონოვი, კრეპსი და მიქაბერიძე.

ფილმი მზად იქნება პირველი თებერვლისათვის. საბჭოთა კავშირის ეკრანზე ამ ფილმის დემონსტრაცია საიუბილეო დღეებში დაიწყება. (საქტესი).

## კრებული „საბჭოთა საქართველოს მხატვრები"

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XX წლისთავის ზეიმისათვის საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი ქართულ და რუსულ ენაზე უშვებს სპეციალურ კრებულს სახელწოდებით „საბჭოთა საქართველოს მხატვრები".

კრებულში მოცემული იქნება საქართველოს თანამედროვე მხატვრების — ფერმწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის ოსტატთა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და მათი შემოქმედების დახასიათება.

კრებული ილუსტრირებული იქნება მხატვრების ნაწარმოებთა რეპროდუქციებით. (საქტესი).

### მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაისაბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

**20 იანვარს,** საღამოს სრულ 8 საათზე, ლენინის სახელობის რაისაბჭოს სხდომათა დარბაზში (საბჭოს ქ., № 134) შესდგება მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს მე-5 სესია.

რაიაღმასკომს სესიის განსახილველად შეაქვს საკითხი რაიონის სანიტარული მდგომარეობის შესახებ.

**მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ლენინის სახელობის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი**

### მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს დეპუტატების საყურადღებოდ

**20 იანვარს,** საღამოს სრულ 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის სახელობის რაიკომის სხდომათა დარბაზში (ვაშლიანის ქ., № 1) შესდგება მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს მეხუთე სესია.

**მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი**

## მწერალთა კლუბში

**19 იანვარს, დღის 12 საათზე,** მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ., № 13) შესდგება დამწყებ დრამატურგთა წრის მორიგი მეცადინეობა. განხილული იქნება გ. ზერუაშვილის პიესა „სტუმაგო № 1".

წრის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

### სეზმან ერთაწმინდელის ახალი წიგნები

მწერალმა სეზმან ერთაწმინდელმა საბჭოთა საქართველოს XX წლისთავისათვის დასწერა ახალი სამმოქმედებიანი დრამა — „ინდიანა", რომლის თემატიკა აღებულია თანამედროვე ცხოვრებიდან. დასაბეჭდად გამზადებულია მწერლის მოთხრობების კრებული „ჭრელი ქალაქის" სათაურით, რომელსაც საბლიტგამი გამოსცემს.

მანვე დაამზადა გამოსაცემად ახალი ლექსების კრებული—„არწივის ფრთებზე". (საქტესი).

## პარტკალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1501805, გაცემული ივანე დიმიტრის-ძე **კრავეიშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომი** აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3074304, გაცემული რაჟდენ გიგოს-ძე **შენგელიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) გალის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 3075715, გაცემული თამარ კუზმასასული **ხუპენიას** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2856664, გაცემული ნიკოლოზ ზაქარიას-ძე **გოგინაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

**საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1525420, გაცემული აბრამ ბესარიონის-ძე **ხეჟიაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## პროფ. მიხეილ ასათიანი

### (გარდაცვალებიდან სამი წლის-თავის გამო)

შესრულდა სამი წელიწადი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა პროფესორი მიხეილ ასათიანი. მისი სახით საბჭოთა საქართველოს მეცნიერებამ დაჰკარგა გამოჩენილი მკვლევარი, ფსიქიატრიული საქმის ენტუზიასტი და ფრიად ავტორიტეტული მკურნალი.

პროფ. მ. ასათიანი დიდი მასშტაბის მკვლევარი, მეცნიერული ფსიქიატრიის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მისი მრავალი მეცნიერული ნაშრომი მნიშვნელოვანია არა მარტო შესანიშნავი შედეგებით და დასკვნებით, არამედ იმითაც, რომ ისინი წარმართავენ ჩვენს კლინიკურ აზროვნებას, გვაწვდიან კვლევითი მუშაობის მეთოდებს, გვინერგავენ მეცნიერული შრომის სტილს.

მიხეილ ასათიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის ფსიქოთერაპიის საკითხის თეორიული და პრაქტიკული მხარეების დამუშავებაში. მან შექმნა ფსიქოთერაპიული სკოლა, რომელსაც თვალსაჩინო მიმდევრები ჰყავს.

მიხეილ ასათიანი იყო და დარჩება სანიმუშოდ ექსპერტ-ფსიქიატრისათვის, მისი დიდი ღირებულების შრომები პათოლოგიური და ფიზიოლოგიური აფექტების შესახებ წარმოადგენენ განძს როგორც კლინიკური, ისე სამოსამართლო ფსიქიატრიისათვის.

მიხ. ასათიანი იყო დიდი კლინიცისტი-ფსიქიატრი, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა შეთვისებული რუსეთის მეცნიერული ფსიქიატრიის დამაარსებლის კორსაკოვის მიერ შექმნილი ტრადიციები.

მიხეილ ასათიანი მეცნიერული ფსიქიატრიის დამაარსებელია საქართველოში. საბჭოთა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მუშაობენ ფსიქიატრთა მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღზრდილი კადრები ფსიქო-ჰიგიენის და ფსიქო-პროფილაქტიკის სხვადასხვა საკითხების გასარკვევად. მ. ასათიანი პირად ცხოვრებაში, როგორც მასწავლებელი და მეგობარი, მეტად გულწრფელი ადამიანი იყო, ხოლო ყოველდღიურ მუშაობაში—უშიშარი, პრინციპული და დაუღალავი.

მ. ასათიანი დაძაბულ აკადემიურ მუშაობას მშვენივრად ათავსებდა საზოგადოებრივ მუშაობასთან, იგი ყოველდღიურად გრძნობდა საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვას. პროფესორმა მ. ასათიანმა დასტოვა ფსიქიატრიული სკოლა, ფსიქიატრიული კადრები.

სტალინური კონსტიტუციის მზით უხვად გამთბარ საქართველოში ყოველგვარი პირობებია იმისათვის, რომ პროფ. მიხეილ ასათიანის მოწაფეებმა ღირსეულად განაგრძონ და განავითარონ თავიანთი მასწავლებლის მიერ დაწყებული მეცნიერული და პრაქტიკული მუშაობა.

**პროფ. ა. ზურაბაშვილი**
სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი.

## ლექციები და მოხსენებები

**20 იანვარს,** საღამოს 8 ს. 30 წ. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ., № 11) შესდგება ამხ. **ჯაფარიძის** ფასიანი ლექცია ქართულ ენაზე, თემა: **„სამართლიანი და უსამართლო ომები".**

ბილეთების ფასი 1 მანეთი. ბილეთების მიღება შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში.

**20 იანვარს,** საღამოს 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება პროფ. **დუბროვსკის** ლექცია თემაზე: **„ალორძინების ხანა ევროპაში".**

დასწრება თავისუფალია.

## დღეს კინოებში

**რუსთაველის** სახელობის — „თემური და მისი რაზმი" (დღისით და საღამოს), **ოქტომბერი** — „თემური და მისი რაზმი", **დამკვრელი** — „კაპიტან გრანტის შვილები", **კომკავშირელი** — „დუბროვსკი", **ლუქსემბურგის** სახ. — „ქეთო-ქოთილი", **სპარტაკი** — „კაპიტან გრანტის შვილები", **26 კომ.** სახ. — „სევანის მეთევზეები", **კომინტერნი** — „ახალი დროება", **განთიადი**—„პეპო", **წითელი არმიის სახლი**—„თოფიანი კაცი", **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** —„დიდი ვალსი", **ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — „გიქორ", **მეცნიერება და ცოდნა** — „ფერადი ლითონების მარაგი".

**პასუხისმგებელი რედაქტორი**
**ვ. ხატიაშვილი**


**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

19 იანვარს
**ქაქო ყაჩაღი**

21 იანვარს
მე-6 აბ. მე-6 წარმ.
**აბესალომ და ეთერი**

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**
**1940-41 წ. წ. სეზონი**

19 იანვარს
**უდანაშაულო დამნაშავენი**

22 იანვარს
**გიორგი სააკაძე**

23 იანვარს
**ღალატი**

დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

**კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**
**1940-41 წ. წ. სეზონი**

| 19 იანვარს | 21 იანვარს | 22 იანვარს |
| --- | --- | --- |
| სერია მე-13 აბ. მე-4 წარმ. | სერია 1 აბ. მე-4 წარმ. | სერია მე-5 აბ. მე 4 წარმ. |
| **მადამ სან-ჟენ** | **ბედნიერება** | **გიორგი სააკაძე** |

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

19 იანვარს დღის წარმოდგენა **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**
დასაწყისი დღის 12 ს.

ორშაბათს, 20 იანვარს, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის** შენობაში ახალგაზრდა მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი დასდგამს ს. შანშიაშვილის 4 მოქმედებიან ტრაგედიას

**„სურამის ციხე"**

დადგმა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ
**ალექსანდრე თაყაიშვილისა**

მხატვრული გაფორმება—მხატვარ დიმიტრი თავაძისა.
მუსიკა—კომპოზიტორ ვანო შავერზაშვილისა.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები იყიდება მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სალაროში დილის 10-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე


„კომუნისტის" სტამბის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ამავე კომბინატის ასოთამწყობ
**ანიკო ჩარკვიანი-ხეჩიაშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/I 5 ს. მარტყოფის, 23, (ავლაბარი).

მშობლები სეითი, ოლიკა, ბიძა გერასიმე, ბიცოლა ელენე, და თამარ, ძმა სიმონ გოქსაძე იუწყებიან
**ლოლა ფოფხაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19/I ქ. სამტრედიაში. 10319

შვილები აპოლონ, ოლია, ელენე, ნინო დოჭვირები, რძალი გოგოლა, სიძეები კ. ადამია, ე. მაჭარაძე, კ. გაბუნია შვილებით იუწყებიან
**ლილოსი დოჭვირის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/I ს. მათხოჯში. 10318

ზარაშვილი, სამსონია, ხუნდაძე, ხარიშვილი, ხუბია, კოკოჩაშვილი, არევაძე, სალარაძე, გამსახურდია, სამსონია, ბუგიანიშვილი, ფირცხალავა, ბისეიშვილი, იუწყებიან დოც. ალ. კახნიაშვილის მამის
**ილარიონ კახნიაშვილის**
გარდაცვალებას. 10320

მეუღლე ერმილე, შვილები ვალოდია, არტიომ, შუშანა, გივი, რძლები ნინო, თამარ შვილებით იუწყებიან
**ბაიანე ლუარსაბის-ასულ კობახიძე-სირაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 22/I გამოსვენება 3 ს. რიყის, 93. 10311

ძმები ილიკო, სილო, ნიკოლოზ, აკაკი, რძლები ულუმპია, ნასტია, პოლიკა, სონია შვილებით იუწყებიან
**ბაიანე ლუარსაბის-ასულ კობახიძე-სირაძის**
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/I 3 ს. რიყის, 93. 10311

პროფესორი მ. უგრელიძე ოჯახით იუწყება
**მართა სტეფანეს-ასულ დათეშიძის**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ოჯახს. 10312

შალვა ცხაკაია, მიხეილ არველაძე, მამია გამყრელიძე, დიტო ყიფიანი, აპოლონ ნადარაია, უჩა გამყრელიძე, შალვა ლომიძე იუწყებიან მეგობრის ინჟ. თ. სიხარულიძის მამის
**ვარდენ სიხარულიძის**
გარდაცვალებას. 10313

მოლოტოვის რაისაბჭოს სამმართველოს სარემონტო კანტორის თანამშრომლები გაბრიელოვი, ცხაკაია, არველაძე, გამყრელიძე, კუპრაძე, ქავეარაძე, მაჭავარიანი, კვერნაძე, ვეფხვაძე, ბართაიშვილი, კაპანაძე იუწყებიან თ. სიხარულიძის მამის
**ვარდენ სიხარულიძის**
გარდაცვალებას. 10314

ბიძაშვილი კონსტანტინე ჯაფარიძე მეუღლით ევათი, შვილებით კლიათი, სიმონით, რძლებით ნინოთი და მაროთი იუწყება
**მართა სტეფანეს-ასულ დათეშიძის**
გარდაცვალებას. 10315

და შუშანიკა, სიძე კალენიკე ჩხეიძეები შვილებით ქეთოთი, მამაკათი, ბენონით, სიძით ვასო ჩხაკეიშვილით, შვილიშვილებით მანანათი, ირაკლით იუწყებიან
**მარიამ პავლეს-ასულ დევდარიანი-კლდიაშვილის**
გარდაცვალებას. 10316

საქპურტრესტის ბინების მშენებლობის ინჟინერ-ტექნიკოსები ა. ბუზ-ოღლი, ქ. ბახტაძე, გრ. არაქელოვი, რ. ალიბეგოვი, შ. შალიბაშვილი იუწყებიან უფრ. ბუხჰალტრის საშა ამირხიშვილის დედის
**ნინო ივანეს-ასულის**
გარდაცვალებას. 10317

ლენინგორის რაიონის განათლების განყოფილების თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან ამავე განყოფილების გამგის
**დავით ვარლამის-ძე კვინიკაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. საღვარეში (ზესტაფონის რ.) 21 იანვარს.

შვილები ილია, ვერა, შალიკო, ანდრო რძლები, მარო, მარიამ, სიძე თეოდონ, შვილიშვილები ქეთო, ლამარა, ზირა, ნოდარ კაკო იუწყებიან
**ოქრო გიორგის-ძე გონგლაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19/I კლდის წყაროში. 10330

საშენ მასალათა პროფკავშირის ცეკას თანამშრომლები გოგიშვილი, მარჯანიანი, როსტიძე, გაბუნია, სულაქველიძე, სულუხია, ივანიშვილი, კვიტინსკი, კაპანაძე, მაჭავარიანი, გოგოშიძე, ყალაბეგიშვილი იუწყებიან კ. კლდიაშვილის დედის
**მარიამ კლდიაშვილის**
გარდაცვალებას. 10333

I ლუდის ქარხნის მუშამოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ინჟინერ ილია გონგლაძის მამის
**ოქრო გონგლაძის**
გარდაცვალებას. 10332

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. 26 კომისრის სახელობის რაიკომის მუშაკები სიხარულიძე, არაქელოვა, გოჩაძე, ვოგინძე, შარიქაძე, იაროვა, მელიქიანი, შეიდაკი, შახნაზაროვა, ალავერდოვი, ჯიშკარიანი, ქანთარია, პოლგადაროვი, თარხანოვი, ჯოლუხიძე, გუპალოვა, კალინინა, ჯანჯღავაშვილი თანაუგრძნობენ რაიკომის ინსტრუქტორს ამხ. გაიანე ოსიპოვას მისი ძმის
**ვართან ნიკიტას-ძე ჩინტემიროვის**
გარდაცვალების გამო.

ჭურაშვილი, რამიშვილი, რევაზიშვილი, გასპაროვი, ჯობაძე, კილაძე, გოგოლაძე, ნადირაძე, კუჭავა, არაზაშვილი, ფეიქრიშვილი იუწყებიან ვალიკო კლდიაშვილის დედის
**მარიამ კლდიაშვილის**
გარდაცვალებას. 10325

ჰიგიენის კვლევითი ინსტიტუტის კვების განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექ. სტეფანე რცხილაძეს მისი მამის
**იროდიონ სტეფანეს-ძე რცხილაძის**
გარდაცვალების გამო. 10299

დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა ბაგის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ელისაბედ დათეშიძეს მისი დედის
**მართა სტეფანეს-ასულ დათეშიძის**
გარდაცვალების გამო. 10307

ექიმი დამიანე სვანიძე მეუღლით აგრაფინათი, შვილით ნათელათი იუწყება გამზრდელი ბებიის
**ნინო (ნაია) საჯაიას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/I ს. ოდიშში (ზუგდიდის რ.). 10321

შვილები ნიკოლოზ, ვალერიან, რძლები ანა, ვარვარა, შვილიშვილები გივი, ზურაბ კლდიაშვილები იუწყებიან
**მარიამ პავლეს-ასულ კლდიაშვილის**
გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 19/I 3 ს. საიათნოვას, 15. 10322

მოლოტოვის სახ. რაიაღმასკომის საბინაო სამმართველოს თანამშრომლები მაღალაშვილი, კუზანოვი, ჩხაიძე, ხაზეიშვილი, ღოღელიანი, საათსაზოვი თანაუგრძნობენ ინჟ. თენგიზ სიხარულიძეს მისი მამის
**ვარდენ სიხარულიძის**
გარდაცვალების გამო. 10323

უახლოესი მეგობრები იაშვილი, ღლონტი, მეძმარიაშვილი, ლუკაშვილი, კაიშაური, დობორჯგინიძე, ელიაშვილი, კოჟევნიკოვი თანაუგრძნობენ ვალიკო კლდიაშვილს მისი დედის
**მარიამ კლდიაშვილის**
გარდაცვალების გამო. 10325

ქმარი თეოდოტე, შვილები ლილი, კუკური იუწყებიან
**თალიკო კარპეზის-ასულ თავაძე-კოპალეიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19/I ს. ზემო-ხეთში (ჩოხატაურის რ.). 10326

დედა ელენე, მამა გიორგი, ძმები შალვა, მიხეილ, თინათინი იუწყებიან
**მარგო გიორგის-ასულ კვირიკაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 19/I 7 ს. გამოსვენება 20/I, 5 ს. ორჯონიკიძის, 40-ბ, კუკიის სასაფლაოზე. 10327

გ. კირთაძე, მ. აველიშვილი, ს. ცეიდლერი, ს. სიჩოვა, ე. ჩერკასოვი და ვახტანგაძე იუწყებიან მიშა კვირიკაშვილის დის
**მარგო გიორგის-ასულ კვირიკაშვილის**
გარდაცვალებას. 10327

უახლოესი მეგობრები ლ. კემულარია, ე. სანიკიძე, დ. ტყეშელაშვილი და პ. ქუთათელაძე თანაუგრძნობენ ლიზა დათეშიძეს მისი დედის
**მართა სტეფანეს-ასულ დათეშიძის**
გარდაცვალების გამო. 10328

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67; რ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3-06-88; განყოფილებებისა: პარტიულის—3-57-61, პროპაგანდის 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოს — 3-73-40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3-80-83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3-80-84, წერილების — 3-73-24, პ.-მგ მორიგისა და გამომშვების 3-81-65, გამომცემლობის 3-51-81, სტამბის დირექტორის 3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 8829